1910 წ. კვირა ფასი 10 კაპეიკი 24 იანვარი

შინაარსი: მსახიობთა უზრუნველყოფა—(მეთაური); სიმღერა, ლექსი—ა. შანშიაშვილისა; აქტიორი, თეატრი და რეჟისორი—ა. იუჟინისა (თ. ა. ი. სუმბათაშვილისა); დაღუპულ ნიჭს, ლექსი—კ. ფშაველასი; ერთს ვეტრფი—ი. მეედლიშვილისა; ქართული დრამატიული სკოლა—პ. დადვაძისა; წყურვილი, დრამა 3 მოქ. (გაგრძელება) ს. გლახაშვილისა; გურული სცენა—ასკანელი პროკოფისა; ჩვენი მსახიობნი; სომეხთა მსახიობნი; რუსეთის დრამატურგნი; ნეკროლოგები; მ. ი. დემურია; დემონი, სურათები: ნ. ჩხეიძე, მ. ი. დემურია, ან. ჩეხოვი; სევუმიანნი; ნახატი შმერლინგისა.

ჟურნ. „**თეატრი და ცხოვრება**“

ერთის წლით დამატებიანად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ. თითო ნომერი 10 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 2 მან., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ კანტორაში ი. იმედაშვილთან 10—2 საათამდე; 5—8 ს.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Контора Груз. Драм. О-ва. Іос. Зах. Имедашвили.

დამსახურებული მსახიობი
ნინო ჩხეიძე
(გასტროლებისა გამო, თბილისში)

მარიამ ივანეს ასული დემურია
(გარდაიცვალა 21 იანვ. 1910 წ.)

24 იანვარი 1910 წ.

მოხუც მსახიობთა უზრუნველყოფა

„კარგი რამ გვჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“-ო, სულმნათი შოთასი არ იყოს ისე ვართ შეჩვეულნი შავს დღესა და უმადურობას, რომ სხვათათვის არა-ჩვეულებრივი მოვლენა თითქოს ჩვენთვის კანონიერად მიგვეჩნივნოს, ისე გულდამშვიდებით მივსდევთ ცხოვრების მდინარეობას...

დღეს ჩვენის თეატრის აწმყო მდგომარეობისა და მისი მომავალის გულ-შემატკივართ ერთი ფრიად საჭირო საკითხი აქვთ განსახილველ-გადასაწყვეტი და სისრულეში მოსაყვანი..

ჩვენი მსახიობი რომ **შთამომავლობით ხელმოკლეობასა და ქონებრივ სივიწროვეს** განიცდის, ეს ვინ არ იცის! ვინ არ იცის, რომ წინა ღამის მეფეთა-მეფე, გრძნობათა ბატონი, ცხოვრების ამა თუ იმ მანკიერებისა, ანუ სათნოების გამომსახველი, ათასეულ მაყურებელთა აზრთ-მსვლელობის გამფაქიზებელი, მეორე დღისათვის ხშირად სადილის ფულის ძიებაში უნუგეშოდ დარონინობს...

დიახ, შეიძლება, ეს ყველამ იცოდეს, ხოლო ოცი და ოცდაათის წლის სამსახურით ნიათ გამოლეული, სცენაზე დაბერებული, რაიმეთი დასნეულებული რომ განიადაგებულ სიმშილს განიცდის, ეს კი არვინ იცოდეს.. ან თუ იცის ვინმემ, თვალს დაიბრმავებს, ყურს მოიყრუებს, ვითომ არაფერიაო, და თუ ასეთ დამსახურებულ მსახიობს სიკვდილი ეწია, — გაგიხარიან ვვირგვინებსა და სიტყვებს არ დაზოგვენ..

ესეც ყველასათვის აშკარაა..

ჩვენი სიტყვა შეეხება ჭეშმარიტ მსახიობს, სცენის სამუდამო მუშაკს და ამიტომ საზოგადოებამაც უნდა გამოიჩინოს ეგოდენი მოქალაქეობა, თვითშეგნება, საკუთარი სვებედის რწმენა, რომ თავისი საზოგადო და უდიდესი მასწავლებელი სიბერეში უზრუნველჰყოს...

ჩვენ არ ვიცით სხვა რომელიმე ხელობის მსახური ისე უზრუნველად, უყურადღებოდ მიტოვებული, როგორც ქართველი მსახიობი და მისი ოჯახია!..

თბილ. დრამ. საზოგადოებამ ახლავე უნდა დაარსოს მოხუც მსახიობთა ცხოვრების უზრუნველმყოფი კასსა, ყველა დრამატიული საზოგადოებანი და დასნი მოიხმოს, რომ მთავარ კასაში უეჭველად შემოიტანონ ყოველი წარმოდგენიდან უწყებული პროცენტი, ყოველ წლიურად მართოს საღამო-წარმოდგენები ფონდის გასაძლიერებლად და ჩვენი სცენის მუშაკთ ამითი მაინც სცეს ნუგეში...

აი, ჩვენი სიტყვა და აზრი, — მისი განხორციელება საზოგადოებისათვის მიგვინდვია!..

სიმღერა

მკერდსა მომეკარ, მომეალერსე,
მსურს სიალუმდო განდო ჩემს ძვირფასს;
ნორჩი შრომანი ტრემლს დაუთრთვალვს,
ხოდო ეკალი—ორთოდვით ტიურ ცვარს.

—

შენ ეურს არ მიგდებ? —წადი, გამშორდი!
მინდა მივეტე მარტო ოცნებას;
...დარჩი! ნუ მტანჯავ!.. რად გამირბიხარ?
ქება შეგასხათ ვარსკვლავთა კრებას.

—

მთვარეც ამოვა, მერთალს შუქს მოგვაფენს,
ბულბული ბაღში სასმოდ დასტვენს;
მე შენ გეძებდი და თითქოს გბოვე,
სად გაჭქრი, ობლად რისთვის დამტოვე?
ნუ თუ შენ იყავ მხოდოდ ოცნება?
შენტ—ჰრდალს—გვარავს ამაოება!

ს. მანთიაშვილ

აქტიორი, ავტორი და რეჟისორი

თუ ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს შეეძლო ეთქვა, სახელმწიფო მე ვარო, მით უმეტეს თითოეულ თეატრის დასს თამამად შეუძლია გაიმეოროს ეს გაცვეთილი სიტყვები. მართლაც, თეატრი—აქტიორია, აქტიორები, დასი. პიესა არის საერთო ქმნილება აქტიორისა და ავტორისა. ამის გამო უვარგისი პიესები ხშირად სახელს იხვეჭავენ აქტიორის თამაშით და კარგი პიესები უმნიშვნელოდ რჩებიან აქტიორებისავე თამაშით. როდესაც შავი ასოებით თეთრ ქაღალდზე დაწერილი პიესა იქცევა ხოლმე ცოცხალ სიტყვად, როდესაც მოქმედ პირთ გონებათ კი არ წარმოადგენს მკითხველი, არამედ თვალწინ ხედავს მაყურებელი მათ, აქტიორის შემოქმე-

დებით ხორცად ქმნილს და განცხოველებულს, მაშინ ქმნილება ორად იყოფა. დაამცირეთ, რამდენიც გინდათ, ჩვენი ხელოვნება, ბედი დრამატიულ ნაწარმოებისა მაინც სავსებით ჩვენს ხელშია. უამისოდ პიესა წარმოადგენს მოთხრობას დიალოგიურ ფორმაში, შეიძლება იმგვარ მოთხრობას, რომელიც აღსავსეა მოქმედებით და სიცოცხლით, მაგრამ მაინც რჩება წიგნად. ამ წიგნს ჩვენ ვაქცევთ ხოლმე ცხოვრებად.

თქვენ გრძნობთ ამ სიტყვებიდან, თუ ჩემს თვალში რაოდენ დიდია ჩვენი მოვალეობა, ერთის მხრით, და მუშაობა, მეორეს მხრით. ამ ჟამად მოდად შემოვიდა და ბევრი დიდ ყურადღებას აქცევს რეჟისორებს, დირექტორებს და სხვ. ამით მე არ ვამცირებ და უფრო მაღლა ვაყენებ როლს და დიდს მნიშვნელობას რეჟისორისას, მნიშვნელობას არა მარტო ადმინისტრატიულს, მხატვრულსაც, მხოლოდ იმ დარგში-კი არა, სადაც მათ ალაგს აძლევენ ახალი თეორიები, ანუ უკედ ვსთქვათ, იქ კი არა, სადაც აქტიორი და ავტორი ჭქმნიან, სადაც იდუმალ გამოურკვეველ გზებით ერთდებიან ავტორის-მიერ შექმნილი ტიპი და აქტიორის-მიერ გადმოცემული ცოცხალი ინდივიდუალური სახე. ამ დარგში რეჟისორი, ხელმძღვანელი და ადმინისტრატორიცა, ყველა, ვინც-კი მუშაობს და ამზადებს საუკეთესო პირობებს შემოქმედების დიად საიდუმლოისას, მხოლოდ გადიან ჩუმად განზე, მოკრძალებით უცქერიან და სტაკებიან იმითი, რის გაკეთებაც შეუძლებელია ხელებით, სიტყვებით, თავით, სხვისი შრომით და რაიც მხოლოდ მოიპოვება დიდებულის, შეუგნებელის ან შეგნებულის, მწვავისა ან სასიამოვნო, მაგრამ აქტიორის საკუთარის შრომითა და სულის აღფრთოვანებით. დედ-მამა პიესისა — ავტორი და დასია, რეჟისორები-კი — ბებიები. და როგორც რომელსამე სხვა დიდებულს მწერალს, მეცნიერს, ან კრიტიკოსს არ ძალუძს ასწავლოს ავტორს დაწერა ტიპისა, ან რომელიმე მდგომარეობისა, აგრედვე ვერვინ ასწავლის აქტიორს, თუ როგორ უნდა შეჰქმნას ამ ტიპიდან მან კონკრეტული სახე, ან ავტორის დრამატიულ მდგომარეობიდან რა შეჰქმნას: გულის ამღძვრელი თუ სასაცილო ფურცელი ცხოვრებისა! და განა ეს უარყოფაა მეცნიერისა და კრიტიკოსის მნიშვნელობისა მხატვარის მუშაობაში, განა უარყოფაა მათი გავლენისა და შენიშვნების საჭიროებისა? აგრედვე შეუძლებელია უარყოფა რეჟისორის გავლენისა, მაგრამ... იმ საზღვრამდე, რომლის იქით შეუძლებელია ხელის ხლება მხატვარისა: ამ საზღვარს იქით მხოლოდ ორნი-ღა არიან — თვითონ და ავტორი. მოვალეობა რეჟისორისა, როგორც მხატვარისა არის — შეჰქმნას სცენაზე ის, რაც ადამიანის გარშემო სუფევს, მაშასადამე ყოველივე ისიც, რაიც კვალს აჩნევს მისს სულს. შექმნა-კი თვით ადამიანისა სცენაზე მთელის თავისი სულიერის არსებით, ეს აქტიორის უფლებასა და მოვალეობას შეადგენს. აქტიორი პასუხს აგებს მხოლოდ იმაში, რაც გააკეთა: შეჰქმნის ცოცხალს სახეს, თუ მოჰკლავს ავტორის განზრახვას. უკანასკნელ შემთხვევაში რეჟისორს თავისის ჩარევით შეუძლიან უშველოს აქტიორს უსულო სხეულის შელამაზებაში, მაგრამ თუ უსულო სხეულია, დაე ისევ შეულამაზებელი იყოს. შევჩერდეთ ამ დებულებაზე და ჩავუკვირდეთ მას, რადგანაც სწორედ აქედან გამომდინარეობს ყველა უმთავრესი და თან წმინდა პრაქტიკული შედეგები.

რადგან ჩვენ ვაკუთვნებთ აქტიორს ესდენ მაღალ როლს და ვცნობთ, რომ მას უფლება აქვს თავისუფლად შეჰქმნას („შენ — მეფე ხარ. თავისუფალის გზით გასწი, სითაც მიგიწევს შენ თავისუფალი გონება“), ჩვენც მისგან ვთხოულობთ ნიჭს შექმნისას. მხოლოდ უნარი და ნიჭი შემოქმედებისა აძლევს აქტიორს უფლებას შექმნისას. შეჰქმენ — და თავისუფალი ხარ. თუ არ შეგიძლია შექმნა, შენ უბრალო მომუშავე ხარ, და რამდენადაც მოიპოვებ შენს საქმეში უფლებას თავისუფალ შექმნისას, იმდენადვე განავითარებ შენს ნიჭს, მანამდე-კი შენ ხარ რეჟისორის მასალა, ვით დეკორაცია, ვით განათება, ანუ — უკეთეს შემთხვევაში — „სცენის მოღვაწე“, და ამ დამოკიდებულ მდგომარეობიდან აქტიორს არ ძალუძს თავის დახწევა სხვაფრივ, თუ არ იმ გზით, რომ მოახდინოს შესაბამისი კულტურა თავისი ნიჭიერებისა და მიიყვანოს იგი იმ ხარისხამდე, რომ შეეძლოს დამოუკიდებლად შექმნა. ეს პირველი დასკვნა, მეორეზე შემდეგ.

ა. იუჟინი (თ. ა. ი. სუმბათაშვილი)

რუსეთის გამოჩენილი მწერალი
ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი
(დაბადებიდან 50 წლ. შესრულების გამო)

დაღუპულს ნიჭს

(დემონის ხსოვნას)

სამშობლო მხარევ, მტირალ-მცინარევ,
თავს ვით ფარვანა, შემოგევლები;
მაგრამ შენს ახლოს ტანჯვა მწვავს, მახმობს,
და შეუმჩნევლად ნელ-ნელა ვდნები!..

დემონი

დაიმსხვრა ჩანგი... დასწყდენ სიმები...
უღმრთოდ კამარას მოსწყდა ვარსკვლავი;
გაცივდა ერმული მჩქეფარე სისხლი,
ჩაქრა რწმენის მძლე სახმილავი!..
შესწყდა სევდიან ჭანგის გუგუნი,
მკერდს მებრძოლისას დუშმნის ისარი
მძლედ გაეწონა... უკურნებელად
გათანგა სენმა გულის ფიცარი!..
ლტოლვას დაადტუდა რისხვა ბედისა,
მსხვერპლს ბილწ სოფლისას ჩანთქავს სამარე,
თავს დავქვითინებ მეგობრის კუბოს,
თვალთაგან მომჩქეფს ცრემლები ცხარე!..

კ. ფშაველა

ერთს ვეტრფი...

(ვუძღვნი ნ—ს)

ჩემი ოცნება მარად თანა მდევს,
ვით შენი ტანის მთრთოლვარე ჩრდილი,
მსურს შენს ნაზ მკერდსა ზედ-დავესვენო
შენის ტრფობითა ღონე-მიხდილი,
მხოლოდ შენთან ჭგრძნობს გული სიამეს,
შენთან ეუხდება წუხილი, კვნესა.—
შენს იქით სატრფო სხვა აღარ მინდა:
მე ერთი მწამს და ერთს ვეტრფი მზესა!..

ი. მჭედლიშვილი

ქართული დრამატიული სკოლა

(ვუძღვნი დრამატ. საზოგადოებას)

გასულ წელიწადს ბევრი ახალგაზდა გაემგზავრა რუსეთისაკენ სასცენო ხელოვნების შესასწავლად. მართალია, წინადაც მიემგზავრებოდა ხოლმე თითო-ოროლა ახალგაზდა რუსეთის დრამატიულ კურსებზე სასწავლებლად, მაგრამ გასულმა წელმა ყველა წლებს გადააჭარბა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ყველა ეს ახალგაზდა ცხოვრების სხვა სარბიელზე დამარცხებულია, იმედ-გატეხილი და ეხლა სცენაზე ეძიებს თავის იდეალს. ამგვარი ახალგაზდა, შეიძლება, ორიოდე ერიოს საერთო რიცხვში, მაგრამ მათ დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ: ვინც ღრმა სიყვარულით არ შედის სცენაზე, იგი ვერასოდეს ვერ მოუტანს სარგებლობას ჩვენს თეატრს. ისიც შესაძლებელია, რომ მეორე ნაწილი ამ ახალგაზდობისა რუსეთის დრამატ. სკოლებს ეტანება, რათა შემდეგ რუსეთის სცენას შესძინოს ახალგაზდა, ენერგიით სავსე მსახიობები. ასეთ ახალგაზრდებს ჩვენ შეგვიძლია, კოტე მესხისა არ იყოს, სიბრალულით და, თუ გნებავთ, აღშფოთებითაც შევეკითხოთ: **„...შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა?!“...**

მაგრამ არის ისეთი ნაწილიც, რომელიც ცდილობს რუსეთის სკოლაში შეიძინოს სწავლა, ხელოვნების შესაფერი ცოდნა, რათა შემ-

დეგ ქართულ სცენაზე იმუშაოს მუყაითად. ასეთ ახალგაზდებს უნდა ვაქცევდეთ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ასეთ ახალგაზდებს პირველი წარმოდგენის შემდეგვე საზოგადოება ასე აფასებს: „ხელოვანია, მაგრამ ქართული სიტყვების გამოთქმა არ უვარგა, მღერის“ და სხვ.. საკვირველი აქ არც არის რამე. სამი წლის განმავლობაში ეს ახალგაზდა რუსულ სკოლაში სწავლობდა. აქ მას ასწავლიდენ რუსული სიტყვების გამოთქმას, რუსული ლექსების და მონოლოგების კითხვას, რუსულად ასრულებდა იგი როლს გამოცდის დროს და, დასასრულ, გარეშემოც რუსული ლაპარაკი ესმოდა. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ რუსეთის სასცენო სკოლები რუსეთის სცენისათვის ამზადებენ მომავალ მსახიობთ, და სამოსწავლო გეგმაც, უპირველესად ყოველისა სწორედ ასეთ მიზანს ისახავს. ამგვარ სკოლაში კურს-დამთავრებული ჩვენი ახალგაზდა მსახიობი სულ სხვა პირობებში აპირებს მუშაობას, — სხვა პირობებში-მეთქი, რადგანაც ქართული გამოთქმა და ენა არსებითად განსხვავდება რუსულ გამოთქმისა და ენისაგან. გამოთქმა-კი (დიქცია) მსახიობისათვის ქვაკუთხედია სასცენო მოღვაწეობისა. რუსული ენა დაფუძნებელია ხმის ლოღიკურ აწევ-დაწევაზე, ქართულში კი მუსიკალური ამაღლება სჭარბობს. ეჭვს გარეშეა, რომ რუსული ენის გამოთქმა (დიქცია) სულ სხვა იქნება, ვინემ ქართულისა; ქართული სცენის ქართველ მსახიობს, რომელსაც დრამატიული განათლება რუსეთში აქვს მიღებული, აკლია ქართული გამოთქმა. სანუგეშებელი ის-ღა აქვს ასეთ მსახიობს, რომ „თუ შრომა და მუყაითობა არ დაიშურა, მომავალში იგი თავიდან აიცდენს ამ ნაკლს და ჩვენი სცენისათვის სასარგებლო მუშაკი გახდებაო“ და სხვ., როგორც საერთოთ რეცენზიებში სწერენ ხოლმე.

გამოდის, რომ უკვე ახალგაზდა მსახიობს განსაკუთრებულ, სპეციალურად ქართულ, სცენისათვის მომზადება ესაჭიროება. მაგრამ მივიღოთ მხედველობაში ის, რომ ერთხელ შეჩვეული გამოთქმის გადაბრუნება მეტად ძნელი არის და, ამასთანავე, რთული, ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში ახალგაზდა მსახიობს ხელმძღვანელი არა ჰყავს და საკუთარ ძალ-ღონეზეა დანდობილი, — და ადვილად დავინახავთ, თუ რაოდენი ენერგია ეხარჯება ასეთ შემთხვევაში მსახიობს: სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ სტრიქონების დამწერისათვის მეტად ძნელი იყო შეენარჩუნებია, რაოდენადაც ძალღონე შესწევდა, ქართული გამოთქმა კითვხის დროს (ე. ი. აღარ „ემღერა“), მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიადაც არ სწავლობს დრამატიულ სკოლაში: რუსულმა თეატრმა და რუს მსახიობების დიქციამ იცის ჩვენი გამოთქმის გადაგვარება. ვგონებ, მკითხველო, შენც ამავე დღეს განიცდი.

ერთად ერთი ხსნა, ერთად ერთი გამოსავალი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, — ქართული დრამატიული სკოლაა, საკუთარი სკოლა. ეს სკოლა პირდაპირ ჩვენი სცენისათვის მოამზადებს მსახიობს. ჩემის აზრით, ვერავინ უარჰყოფს იმას, რომ ჩვენ ახალ მსახიობთა დიდი რიცხვი შეგვაძლებინებს კარგი დასი შევადგინოთ და სხვა და სხვა ადგილებშიც მივაშველოთ იგი. ამ შემთხვევაში ერთი და იგივე მსახიობი აღარ გამოვა ზედი-ზედ სხვა და სხვა როლებში, რაც ძლიერ ვნებს პიესის ღირსეულად შესრულებას, — არამედ ყოველი პიესა ახალ მსახიობის მონაწილეობით იქნება წარმოდგენილი, მაშინ, ვგონებ, მოისპობა თავის-თავად ისეთი საყვედური, როგორიცაა, მაგალითად: „ეჰ, ის ხომ რამდენჯერმე მინახავს მაგ როლში!?“ და სხვ.. როდესაც მსახიობები საკმაოთ იქნებიან, მაშინ იგინი ძალაუნებურად მეტ სიფხიზლეს, მეტ უნარს გამოიჩენენ, ვინაიდან მხოლოდ ისეთი მსახიობი შეინარჩუნებს ბურთსა და მოედანს ბოლომდე, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება და საქმის შესაფერია. როგორც ხედავთ, ამ მხრივ სკოლა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სცენას. ესეც არ იყოს, მაშინ მსახიობი ვერ გაბედავს თავისი პირობები უკარნახოს „ბატონ-პატრონს“, როგორიცაა დრამატ. საზოგად. გამგეობა, იგი ველარ მოსთხოვს მათ დაუყოვნებლივ ასრულებას შუა სეზონში, — ეს კი ამ ჟამად ხშირად ხდება ხოლმე ჩვენ სცენაზე: მსახიობი დაიმედებულია, რომ, თუ ესა თუ ის ჟინი არ შეუსრულეს, იგი წავა დასიდან და სხვას ამ ჟამად ვერავის იშოვნიან მის ალაგზე. ახალ პირობებში ასეთს ჟინიან-მსახიობს მეო-

რე მხახიობი შესცელის მყისვე. დასასრულ, საერთო ანსაბლისათვისაც დიდათ სასარგებლოა ასეთი სკოლა: უხალხობისა გამო ამ ჟამად მეორე და მესამე ხარისხოვან როლებს ხშირად გარეშეს, შემთხვევით შემოსწრებულ პირს მიანდობენ ხოლმე. ასეთი შემთხვევითი არჩევანი უმეტეს ნაწილად აზარალებს პიესას აღსრულების მხრით. ახალ პირობებში ასეთი როლებიც კი პირველ ხარისხოვან მსახიობთა შორის უნდა განაწილდეს. ეჭვი არ არის, აქ მეტი ანსაბლიც იქნება.

ხშირად გვესმის ხოლმე, ჩვენ სცენაზე მასსიური, ხალხური სცენები ყოველთვის ფერმკრთალია; სტატისტები უთავბოლოდ ირევიან სცენაზე, უდროოთ შემოდიან და გადიან, სცენაზე „ღირსეულად ვერ უჭირავთ თავი“, სიტყვები არ იციანო და სხ..

მაგრამ იკითხეთ ერთხელ მაინც, ვინ არიან ჩვენი სცენის თანამშრომელნი? და თქვენთვის დღესავით ნათელი იქნება, რომ უნიჭიერესი რეჟისორიც ვერაფერს გააწყობს დღევანდელ პირობებში. როგორ უნდა გაწვრთნას რეჟისორმა გაზეთის გამყიდველი ბიჭი ან როდის? დიაღ გაზეთის გამყიდველები არიან ჩვენი სცენის თანამშრომელნი! ასეთ თანამშრომელს ძლიერ ბევრი რეპეტიცია სჭირდება, სანამ იგი მართლაც ცოცხალ მანქანად გადაიქცევა სცენაზე. რეპეტიციაზე კი იგი ვერ მოვა, რადგანაც თავისი დღიური საქმეებითაა გართული: გაზეთით ირჩენს თავს და აცხოვრებს ოჯახს. ამის შედეგი ისაა, რომ სცენაზე ამ თანამშრომლებს შემორეკენ ხოლმე; გარედან, კულისებიდან-კი რომელიმე მსახიობი გაჰკივის მათ მაგიერ, ან სუფლიორი ლაპარაკობს მათ სიტყვებს, ან პიესის უმთავრესი გმირი წასჩურჩულებს საგრძნობელად საჭირო რეპლიკებს.

დასკვნა: ჩვენს სცენას აკლია ის ცოცხალი, მრავალ-ფეროვანი მასსა, რომელიც რუსეთის სცენაზე უკვე დიდი ხანია შემოღებული და განვითარებული.

ჩვენს დრამატიულ სკოლას შეუძლია თავისი შეგირდები მიაშველოს თანამშრომლებათ ქართულ სცენას. მათთან მუშაობა გაცილებით ადვილი იქნება, სისტემატიური და, მაშასადამე, ნაყოფიერიც: ერთხელ და სამუდამოთ ავაცილებთ ჩვენს თეატრს ზემოთ მოყვანილ საყვედურებს, მეორე მხრით კი შეგირდებისათვის ეს თანამშრომლობა უკვე პრაქტიკული ნაბიჯი იქნება მათი მომავალი ასპარეზისაკენ.

მრავალი თვალსაჩინო სარგებლობის მოტანა შეუძლია საკუთარ დრამატიულ სკოლას; მაგრამ ჩვენ ვერ ჩამოვთვლით ყველას ამ მცირე წერილში. მოკლეთ, სქემატიურად აღვნუსხეთ უმთავრესი სასარგებლო მოქმედება სკოლისა. ასეთი სკოლის დაარსებით ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ რუსეთის სკოლებში წასვლას. ეს საჭიროც არის სასცენო ტეხნიკის შესასწავლათ და გასაცნობად. ამის შესწავლა ჩვენი ტეხნიკურის მხრით მეტად დაქვეითებული სცენისათვის სასარგებლოა და მეტი არაფერი. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, ამ სკოლაში ძირითადი განათლების მიღებით ახალგაზდა ქართველი მსახიობი ბევრს ვერას შესძენს ჩვენს სცენას. ჩინებული რეჟისორები შეიძლება გვეყოლოს აქედან, მაგრამ, მოგეხსენებათ, უმსახიობოთ რეჟისორი არაფერს არ წარმოადგენს. ამით ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამთ საკუთარი დრამატიული სკოლის საჭიროებას.

ამ სკოლის გეგმაზე — შემდეგ.

პ. დადვაძე

ქ. ოდესა

სომეხთა ახალგაზდა მსახიობი

სევუმიანი

სახალხო თეატრის რეჟისორი

წყურვილი

დრამა 3 მოქ. 4 სურ.

მოქმედება მეორე

მარიამი, ქალბატონი
ქეთევანი) მარიამის
დავითი) შვილები
პირველ ქმრიდან
კატო) მარიამის შვი-
პეტრე) ლები მეორე
ქმრიდან
მფლობელაძე, მეორე ქმარი მარიამისა, დიდი ბატონი
მაია, აღმზრდელი ქეთევანისა და დავითისა
ილია)სოფლის ამო-
პეტრია)რჩეულნი

სცენა: ბაღი, უკან სასახლე, რომლის აივანია ორ მხრივ მარმარილოს ასავალით; კიბის თავზე მძინარა ლომების ქანდაკებანი მარმარილოსივე. აივნის წინ ჰაუზი, რომლის შუა გველეშაპია და პირიდან ამოდის შადრევანი ხვეულათა. აგურით მოფენილი კვლები და ვარდის ბუჩქები. აქა-იქა მაგიდები თავის საზაფხულო საბაღო სკამებითა. შიგნიდან მოისმის მხიარული როიალის ხმა.

I

მაია, პეტრია

მაია არა, პეტრია, ჩემი ჩარევა საქმეს ავნებს, ისა სჯობიან, მე თქვენ შორის უჩინრად ვიყვე.

პეტ. შენ იცი, მაია!

მაია ახლა აქედ ქეთევანი ჩემი გარდილი გამოიკლის. უეჭველია, გკითხავს ამბავს, შენ, რაც შეიძლება, მათი წყურვილი დაუსურათე, ჩემი გარდილი კეთილია. გულკეთილობით მსწრაფლ გულსა წყლული დაჩნდება.

II

იგივე, **ქეთევანი**

ქეთ. (წიგნით შემოდის) ოჰ, გამარჯობა (ხელს ართმევს) პეტრია!

პეტ. ბატონის შვილი გვიდღეგრძელა ღმერთმა.

ქეთ. როგორა ხართ?

პეტ. თქვენი დამაწყევარი იყვეს, როგორც ჩვენა ვართ, შარშან ჩემმა დედაკაცმა კეკელამ ხომ თქვენი ჭირი წაიღო. ეს არ მაკმარა, თანაც ქალ-ვაჟი გაიყოლია.

ქეთ. რომელი, ჩვენთან რომ იყო?!...

მაია მიხა კი არა, იმაზედ უმცროსი.

პეტ. ნასალდათარი მიხა?! არა! იმაზედ უმცროსი. ახლა კიდენა ორი ქალ-ვაჟი ლოგინად არიან ჩავარდნილნი...

ქეთ. მიხაცა!...

პეტ. არა, შენი ჭირიმე! იმის მომდევნოები.

ქეთ. მერე რა სტკივათ?

პეტ. არაფერი შენი ჭირიმე.

ქეთ. მა რა სნეულებაა ეგეთი?

მაია ციებ-ცხელება. არა მარტო ამისი ოჯახი, არამედ მთელი სოფელი მაგითია დასნეულებული.

ქეთ. ექიმი ხომ არის? მერე და მიზეზი მიზეზი ვერ გამოიკვლია?

პეტ. რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე. ასე ამბობს, ჭაობიან ადგილის ბრალიაო.

მაია მზე იმათ არა აქვთ და წმინდა საღი წყალი, დასნეულდებიან, მარა მოუვათ!

ქეთ. როგორ თუ მზე?! განა მაგათ სოფელში მზე არ ამოდის?

პეტ. ამოსვლით-კი ამოდის, მაგრამა...

მაია არა მაგათთვის. იმ სიმაღლე კედელი განა მაგათამდე მიუშვებს. შენმა მამინაცვალმა მაგათთვის მზეც დაიშურა და წყალიცა

ქეთ. ჰო, დიახ, დიახ, კედელი...

პეტ. ჩვენც სწორედ მაგისათვის გიახელით, შენი ჭირიმე. იქნება დაგვეხმაროთ და დიდ ქალბატონთანა რაიმე გვიშუამდგომლოთ...

ქეთ. რომ კედელი დაანგრიონ?! დიდი ქალბატონი დედაჩემი?! ეჰ, ჩემო ჰეტრია! დედაჩემს ისევე შეუძლიან იმ კედლის აღება, როგორათაცა შენ. დედაჩემს ქალბატონობა მაშინ ჩამოერთო, როდესაც მამაჩემი გადაუსახლებიათ; მაშინ დაჰკარგა იმან თავისუფლება, როდესაც დაუკავშირდა მამინაცვალსა.

მაია გულს ნუ გაიტეხ, ჩემო გარდილო! ნათქვამია: „წყალი ნაგუბარში ჩადგებაო“.

ქეთ. მერე როდის-ღა ჩემო გამრდელო?! განა არა ხედავ დედაჩემის ყოფნასა?

მაია დავითი მოდის. პეტრია! შენ წადი. შენ და მამა ილიამ დამიცდეთ ბაღის ბოლოში და შემოსვლისათანავე აქ გაჩნდით. (ჰეტრა გადის) შენ-კი, ქეთევან! აბა სცადე დავითის გულში ჩახედვა, ხოლო ეცადე არ გაგიგოს. იქნებ გული ჩვენსკენ აქვს. ღმერთო! შენა ჰკითხე იმ მასწავლებლებს, რომელთაც ასე გამომიცვალეს...

ქეთ. ეჰ, ჩემო გამრდელო! განა მარტო დავითი? ყოველი სასწავლებლები, განსაკუთრებით სამხედრო, ყველას ასე გვიუცხოვებს.

მაია ვგონებ ნაქეიფარია. (გაივლის) შენი გული გადაუშალე ვით სარკე, იქნებ იცნოს თავი...

III

ქეთევანი, დავითი

დავ. შენა ხარ, ქეთევან?!

ქეთ. მე ვარ, ჩემო ძმაო! სადილი გიჭამია?

დავ. სადილი-კი არა, გადაკრულიცა ვარ.

ქეთ. კიდევ გაალილეთ ვინმე?

დავ. შენით მოჯადოებული. შენი სადღეგრძელოც დავლიეთ.

ქეთ. მე ეგ არ მითხოვნია?

დავ. (გვერდით მოუჯდება)შენ ვინა გკითხავდა! იცი, ქეთო შენ იმას ძალიან უყვარხარ.

ქეთ. ვიცი, მარტო იმის სიყვარული არა კმარა. მაგრამ ერთი ეს მითხარი, შენ ვიღა გიყვარს!

დავ. არავინ.

ქეთ. მაშ, შენ გულიც არა გქონია.

დავ. გული?!.. ჩემი გული ღვინოში დავლიე. სმაში ჩავატანე.

ქეთ. მაშ. ნუთუ, არავინ გაგონოება?

დავ. მხოლოდ სამსახური და ქეიფი...

ქეთ. როდემდის, ჩემო ძმაო, როდემდის?

დავ. სიკვდილამდის...

ქეთ. მაშ, მამა მაინც არ გაგონდება?

დავ. მამა?!... მერე, რომ არ მახსოვს?.. შენ-კი გახსოვს იგი?

ქეთ. მე წუხელიც ვნახე...

დავ. სიზმარში?!..

ქეთ. სიზმარში! მერე იცი როგორა?

დავ. პატარაობას მეცა ვხედავდი. უფრო მაშინ, მაია რომ გვიამბობდა ხოლმე..

ქეთ. ვითომც ვიყავით ჩვენს სოფელშია. შენ მაღალ კედელზე ახვედი გადასახტომად, სადაც წყაროს თავია, მაგრამ შიგ-კი გადავარდი. შევწუხდი. მინდოდა შენი პოვნა, მაგრამ იმ კედელს-კი ვერ აუველი. ამ დროს გამოჩნდა მამაჩვენი წერაქვითა, მივარდა, დაჰკრა კედელს და გაარღვია. გარღვეულ კედლიდან გადმოჩუხჩუხდა წყარო. შენც იმ წყაროს სათავეში გაჩნდი და ორივენი შიგ დავდიოდით ფეხშველები. მამა კი ამ დროს იდგა ჩვენი სახლის ლაბიერზე და გვეუბნებოდა: „უთხარით მთელს სოფელს: გამოიყვანონ სნეულნი: დალიონ ეს წყალი, მზეს შეხედონ და განიკურნებიანო“..

დავ. ეჰ, ჩემო ქეთო! ეგ სიზმარი სიზმრად დარჩება, ის კედელი-კი იქ იქნება აყუდებული. მაგ კედლის შემოფარგვლით დაიჩემა ჩვენმა მამინაცვალმა მზეც და წყაროცა.. ან და, რა საჭიროა სოფლისათვის? განა თვით სოფელმავე არ ააშენა ის კედელი მბრძანებით მამინაცვლისა?

მაია (იქვე ხესთან ყოფილი, წინ წამოვა) მართალია, ჩემო გარდილო! მაგრამ სოფელმა რა იცოდა, თუ იმ კედლით მზისა სხივები, წმინდა წყაროც დაეხშობოდათ?! მთელი სოფელი თუ ჭაობად გადაექცეოდათ?!.. მთელი სოფელი დასნეულდა. დიდს და პატარას სწყურიანთ...

დავ. მერე აკი აქვთ იქ მდინარე?

მაია კიდეც ის მღვრიე და ჭაობიანი მათ დღეს უმოკლებს; მორდილთაც-კი ასნეულებს... აი, ახლაც მაგისათვის გამოუგზავნია სოფელს ამორჩეულნი...

დავ. რომელთაც ურჩევ უკან დაბრუნდენ. თორემ ჩვენი... მამაჩვენი მაგ მეთაურებს შორს უკრავს თავსა. შენ-კი, ჩემო გამდელო, სულ რომ არ გაგრიო, ისა სჯობიან. თორემ შენც მიგაყოლებს, დედა-კი მარტო დარჩება...

მაია კარგი, შვილო?! აგრე გადავცემ გამოგზავნილებს.. (გადის)

ქეთ. (რა გავა მაია) ნუ თუ ჩვენი ხსნა არსით არის?..

დავ. შენ რა გიჭირს?!.! განა თავისუფალი არა ხარ?

ქეთ. თავისუფალი?! ეს, თავისუფლება-კი არა, ჯოჯოხეთზე უარესია. თვალით ხედავდე სნეულთ, ყურით გესმოდეს მათი წყურვილი და კი ვერ შეგეძლოს მათი განკურნება? ბუნება იყვეს უხვი სოფლისათვის, ხოლო გაუმაძღარი ბატონი-კი თავისის კედლით ყველას უხშობდეს!

დავ. ეჰხ, ჩემო ქეთო!.. მაგრამ არა! (წამოდგება) მე ხომ სამხედრო პირი ვარ... არ შემფერის...

ქეთ. არ შეგფერის ამ კითხვის სჯა?!.. (წამოდგება) მერე როდემდის?..

დავ. სანამ, აი ამ მხრებზედ ეს ტვირთი მადევს...

V

იგინივე, **კოტე**, **პეტრე**

კატო ქეთო! საღამოს ჩვენთან საკრებულოში არ წამოხვალ!

ქეთ. არა!

პეტ. მე გთხოვ, ქეთო, ჩემის ხათრით წამოდი.

ქეთ. განა არ იცი, ჩემო ძმაო, მე იქ არ დავიარები?

კატ. მაგას სოფელში ურჩევნიან გლეხებში. შენ, დავით, არ წამოხვალ?

დავ. წამოვალ, აბა აქ რას გავაკეთებ.

ქეთ. რა ვუყოთ, თქვენ იქ მადლიან წრეებში ჰპოვებთ სიამოვნებას, ხოლო მე-კი ზაფხულობით სოფლად გლეხებში...

პეტ. ჰოო?! არ ვიცოდი? მერე ვისზედა?

კატ. (ქეთოს შეჰხედავს) შენს ნამოსამსახურე მიხაზე.

დავ. გთხოვ!..

კატო ოჰო!.. წაექომაგე?

პეტ. ჰო, და მართალიც არის. აბა, რა სახუმაროა?

ქეთ. აქ საძრახისი მაინც არა არის-რა! განა არ შეიძლება, იგი ბევრს თქვენის წრის ყმაწვილკაცებს სჯობდეს! პატიოსანი და ერთგული ქმარი მაინც იქნება. მისმა მომწონმა შესაძლოა არც გაგიცვალოს შენს არკადიაზე.

კატო დაადარე მსხალი პანტასა.

ქეთ. ეგ გემოვნებაზეა დამოკიდებული.

წყურვილი, მოქ. *II*, გამოსვლა *X*. ნახატი **ო. შმერლინგისა**



მფლობელაძე —... მე თქვენ ძაღლივით დაგახრჩობთ...

კატო გლეხები რა ჩვენი საკადრისია გლეხები? აი, ჩვენი წრის საზოგადოება; მათთან გართობა; ცეკვა-თამაში სამხედრო პირებთან. მეტადრე დეზებიანთანა.. ცეკვაში რომ გააქვს ხმაურობა: ძინ, ძინ, ძინ! თითქო მუსიკა იმათთვის არისო.

პეტ. მით უმეტეს არკადიასთანა, არა, კატო!?

კატო მართლა და არკადია კარგად ცეკვავს... ჰო, პეტრე, იცი, რომ ქეთო შეყვარებულია?

მაინც და მაინც, პანტა უფრო ფესვ მაგარია...

კატო რაში მეპირვება იმისი ფესვი, თუ თვით არ იქნება სურნელოვანი? რას იტყვი, დავით?

დავ მომწყდი თავიდან...

კატო როგორ გეტყობა გაუნათლებლობა? წავიდეთ პეტრე! ვგონებ ამათ ვუშლით...

პეტ. შენ, ჩვენი და-კი არა, სწორედ მორიელი ხარ...

კატო (ადარ გაუურის სელსა) აბა, შენ, ალალი ძმა, რომ მაგას მეძახი, ეგენი ხომ...

პეტ. (შავა და ხელს გაუურის) ჰო, კარგი! შენთვის ხვალვე დავითს სეკუნდანტებს გამოვუგზავნი.

დავ. (რა გავლენ პეტრე და კატო, ჰაუზის შემდეგ) ქეთო?! მართლა და, ხომ არაფერი დამოკიდებულობა გაქვს?

ქეთ. ვისთანა?

დავ. „ვისთანა!"., ვისზედ წამოგძახა კატომა?!

ქეთ. მაგაზედ არც-კი გიპასუხებ.

დავ. ჩემო ქეთო! ნუ-კი ჯავრობ. ხომ იცი, ამ სახლში შენ რომ არ მყვანდე, ერთს წუთსაც არ დავდგებოდი. არ მინდა, რომ შენ ეგ წამოგძახონ.

ქეთ. მიხა, რომ ჩვენ გვემსახურებოდა, ხომ იცი, ეგენი უდიერად ექცეოდენ, მე-კი ვესარჩლებოდი, აი, რისთვისაც დაუხვევია ხელზე კატოს, რომ ვითომ მე იგი...

დავ. რაღაზე შესდექ?.. ქეთო! რათ მიმალავ? მითხარ ყოველი.. გიყვარს?

ქეთ. მართალია მიყვარს, როგორც ადამიანი—ბუნების შვილი, კეთილი და პატიოსანი კაცი.

დავ. მაგრამ, მაგვვარ სიყვარულს მოსდევს სიყვარული კავშირისა.

ქეთ. ჯერ ეგ არ მიგრძვნია..

დავ. და რომ იგრძნო...

ქეთ. რომ ვიგრძნო?!.. მაშინ, რა გაეწყობა, ჩავიყურებ ჩემს გრძნობას..

დავ. მაგრამ გვიან-და რომ იქნება? ჩატეხილი ხიდიც ხელს უეგიშლის, მასთან ვერ მიხვალ..

ქეთ. შენ მცდი. ან და, დამცინი ილიას სიტყვებით.. მაგრამ მე-კი გეტყვი გულ-ახდილად: თუ შევამჩნევ თვით მიხას, ვით „გიორგის" სიყვარულს, აღარ მივხედავ მის გვარიშვილობას; აუხვევ ხიდსა და შიგ წყალში გავცურავ...

დავ. ვაი თუ ცურაობამ გიმტყუნოს? სისუსტემ გძლიოს და მორევმა დაგახრჩოს?

ქეთ. მირჩევნიან წმინდა სიყვარულის მორევმა დამახრჩოს, ვიდრე ისეთმა, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით. ჩემთვის „მთელი ტივი" უკვე მიტანილია, რომელსაც ნათლადა ვხედავ, რადგან განთიადის დასაწყისმა განვლო და უკვე მზემ გადმოიმზირა.

დავ. მაშ, მზის სხივი მხოლოდ თვით მიხას ვერ შეუმჩნევია..

ქეთ. სწორედ. არც საკვირველია, რადგან იმყოფებიან ჩვენს მამინაცვლის ხელში, რომელმაც თვით ჩვენთვისაც-კი ჩვენი მშობელი დედა დედინაცვლად გარდააქცია...

დავ. მშობელს ნუ შეურაცხობ.

ქეთ. არა, ჩემო ძმაო! მე მშობელს-კი არ შევურაცხვყოფ, არამედ ვკიცხავ მის მოქმედებას.. განა ვერ ხედავ, რომ დღეს მონაა იგი ჩვენის მამინაცვლისა, რომელმაც არა მარტო ჩვენსა და მშობლის შორის ააგო კედელი, არამედ სოფლისა და მზის შორისაც...

VI

იგინივე, **მაია**

მაია (გამოჩნდება) დედამიწიდან ანკარა წყარო-კი დაუხშო. ცამდის აზჯენილ კედლით ბრწყინვალე მზე აქოლა და ამით სოფელი ჰაობად გადააქცია. მოსავალსაც-კი ღვარძლი გამოსდევს და სოფლელთ საზრდოს უწამლავს. დიდი პატარა დასნეულდა, აცივ-აცხელებს და ყველა ერთად გაიძახიან: „გვცივა, გვწყურიან"?

ქეთ. და ყველა ამას-კი, დედა გულგრილად იტანს, მთელ სოფელს ანაცვალებს ჩვენი მამინაცვალის ალერს-ფუფუნებას?!

მაია შვილო ქეთევან! ნუ მოიხსენიებ მშობელს ცუდად. მოეტევება. ქალია და როგორც სუსტი არსება..

ქეთ. ეხ, ჩემო გამდელო! ქალი არ იყო ქეთევან დედოფალი? თვით შენ არ გვიკითხავდი იმის თავ-გადასავალსა? განა ისინი ისეთივე ადამიანები არ იყვნენ, როგორნიც ჩვენა?

მაია ისინი უფრო სულგრძელები...

დავ. ყველას არ ძალუძს მსხვერპლად შეწირვა; მაგისათვის იყვნენ აღზრდილნი.

ქეთ. მაგრამ მოვალეობა-კი ყოველს იწვევს. სოფელი საჭიროობს გულშემატკივარს. აი, განა შენ კი არ შეგიძლიან ხმა ამოიღო?..

დავ. მე?!.. მე ვარ იარაღი მთავრობისა, მამინაცვალმა მე აღმზარდა მთავრობისათვის...

ქეთ. ჩვენი სოფელი მაშ უპატრონოა...

დავ. (ნაღვლიანად) დიახ, დიახ...

მაია ქალბატონი აქედ მობრძანდება.

VII

იგინივე, **მარიამი**

მარ. აქა ხართ? (**მაიას**) შენც აქა ხარ?

მაია აქ გახლავარ, ქალბატონო. ჩემს გარდილებთან. (გავა)

მარ. შენ, შვილო დავით, გვიან მოხველ, ჩემთან გამოსამშვიდებლად აღარ შემოხველ.

დავ. გვიან იყო, დედა ჩემო! ცეკვისაგან თავბრუ მეხვეოდა; ვეღარც შეგაწუხე.

მარ. პეტრე და კატოც შენთან იყვნენ, მაგრამ ისინი მაინც შემოვიდნენ. ამ ბოლოს დროს დედის ვალი დაივიწყე, შენც ქეთო, ამ ხანებში გამოიცვალე, გამჩნევ უპატივცემობას.

ქეთ. მე ყოველს, დედაჩემო, ღირსეულად ვექცევი.

მარ. კიდეც ეგ არის, რომ არა! იმ დღეს მამაშენს ძლიერ უკმეხად მოეპყარ...

ქეთ. მამაჩემს?! იქნება მამინაცვალსა?

მარ. შვილო ქეთევან, დღეს მამაა შენი, აღარ გარგებს გარჩევა. დღეს ის არის ჩვენი ოჯახის მფარველი და მასთან უფროსიც...

ქეთ. არა, დედაჩემო! მფარველი კი არა, დამღუპველი; დიახ, დამღუპველია!

მარ. (მიიხედ-მოიხედებს შეშინებული) რას ამბობ, ჩუმადა შვილო!.. იმდღესაც, მე რომ არ ვყოფილიყავი, გიპირობდა...

ქეთ. სოფლად გაგზავნას განა? მე მზათა ვარ მოვშორდე აქაურობასა. მზად ვარ დავივიწყო იმისი სახე, მამიჩემისას აი, ამ სურათს ვუყურო..

მარ. ქეთევან, შვილო, შენი თავიც შებრალე. ხომ იცი იმისი ამბავი. აი, იმ დღესაც ბრძანა: შენგან მომეხსნა სურათი მამიშენისა. მე შევპირდი, მაგრამ... გთხოვ, შვილო, უბეში შეინახო, რომ არ შეამჩნიოს.

დავ. როგორ! შვილს მამის სურათის ტარების ნებაც არა აქვს?..

მარ. ჰო, და ვაჟკაციც შენა ხარ... (სიამოვნებით უყურებს) მაშ, შვილო უთხარი...

დავ. მე?!.. ჩემს უფროსს?.. მე სამხედრო პირსა არა მაქვს უფლება...

ქეთ. კმარა, არავისა გთხოვთ. მე ვარ ეხლა სრულ-წლოვანი და მზრუნველიც აღარ მჭირია, დღეიდან წარსულის ანგარიშსაც-კი მოვითხოვ, მე მემკვიდრე ვარ მამიჩემისა და მე მეკუთვნის ჩემი ნაწილი სოფლისა მაინც.

დავ. ჩემი ნაწილიც, ჩემო ქეთევან, შენთვის გარდმომიცია...

მარ. (შიშით მიიხედება და შენიშნავს) შვილო, გაჩუმდი! აგერ მოდის...

VIII

იგინივე, **მფლობელაძე**

მფლ. (გაჩქარებით წამოსული შესდგება) ოჰო! თქვენ ყველანი აქა?!...

მარ. აქა, ჩემო ბატონო, შენს დასახვედრად!..

დავ. (გამოიჭიმება) დიახ.

მფლ. კარგი!.. შენ, ქეთევან: აბა მიყურე?!...

ქეთ. თვით შიგ თვალებში! რადგან სხვისი არა დამიჩემიარა...

მფლ. როგორ! (მიხედავს მარიამს) მაშ, შენ!..

მარ. არა ჩემო ბატონო! მე სრულიადაც არაფერი...

მფლ. (ზიზღით) აჰ, ქალაჩუნა!.. (დავითს) შენ, ჩემო მხედარო! როგორ უსრულებ შენს უფროს სამხედრო მოვალეობას?!

დავ. როგორც მიბრძანებთ..

IX

იგინივე, **მაია**

მაია დიდო ბატონო! თქვენს სანახავად გიახლნენ ჩვენის სოფლიდან.

მფლ. (გადახედავს მარიამს) ოჰო! აქ რაღაც ამბავია?! (დაჯდება) დაუძახე! (მაია გავა. ყველას სათითაოდ უყურებს, პაუზა) დასხედით; ქეთევან, დაჯექი.

ქეთ. მე, როგორც ქალი (გადახედავს ძმას) და არა მხედარი, თქვენი მორჩილი,— არ გემორჩილებით.

მფლ. (მუქარით) ქეთევან?!..

X

იგინივე, **მაია, პეტრე, ილია**

პეტ. (მოწიწებით) დიდი ბატონი აღდეგრძელა ღმერთმა.

ილ. აქა მშვიდობა!

მფლ. (ილიას) შენ არ გეკადრება ქუდის მოხდა?!..

ილ. როგორც მოძღვარი...

მფლ. შენ სოფლის მოძღვარი აღარა ხარ!

ილ. როგორც ნაკურთხი. ჩვენ ვიხდით მხოლოდ სასულიერო წესითა.

მფლ. მარტო თქვენა ხართ?!

ილ. (წინ წადგება) სოფელმა მხოლოთ ჩვენ ამოგვირჩია.

მფლ. კარგით! რა გსურთ?! ჩქარად, თქვენ-თვის არა მცალიან.

ილ. „ბატონი ერისთვისაო"! თქვენც სოფ-ლისათვისა ხართ, მას შემდეგ...

მფლ. კარგით! მერე?

ილ. სოფლის გაჭირვება თქვენად მიიჩნი-ეთ. მისი წყურვილით თქვენ მოიწყურვეთ, ვით მამა სოფლის, როგორც ჩვენი კეთილი ბატონი.

მლფ. მერე?!?..

ილ. სოფელი ჭაობში სცურავს. დიდი-პა-ტარა დასნეულდა ციებ-ცხელებით.

მფლ. მაგისათვის გყავთ დანიშნული ექი-მი, მერე?!

ილ. ექიმი, დიდო ბატონო, იქ ვეღარას უშველის, სადაც მოსავალსაც-კი შეეპარა ღვარ-ძლი, რამაც ხალხი დაასნეულა. ჰაერიც-კი სნეულებით გაჟღენთილია, და, აბა, ექიმმა აქ რა უშველოს?..

მფლ. კარგი! მერე მიზეზი?!

პეტ. კედელი გახლავთ, თქვენი ჭირიმეთ.

მფლ. კედელი?!..

ილ. დიახ, კედელი, რომელიც აჰყუდებია ბრწყინვალე მზესა...

მფლ. მერე?!...

პეტ. წყაროც გადაგვეგდო, აღარ მოგვდის ანკარა წყარო, ბაღიც კი ამომივარდა.

მფლ. მერე?!!

ილ. ბაღს ვიღა ჩივის, ყოველს წყარო ენატრებათ, იგი მირონად მიაჩნიათ. მდინარე ჭაობიან სნეულებას უფრო ხელს უწყობს და სოფელს ამითი ბოლო ელება.

მფლ. სულაც, რომ ამოწყდეთ, ის კედე-ლი მაინც კედლად დარჩება! ჩვენს შორის იგი იქნება. არ მივაკარებ სოფელს ჩემს კარმი-დამოს.

ილ. მთლად ამოსწყდეთო?! ნუ გავიწყდე-ბათ ბატონის მოადგილევ!...

მფლ. რას ჩააცივდი: „ბატონის მოადგი-ლევ, მოადგილევ"!!

ილ. მე მოგახსენებთ, რაც მართალია: თქვენა ბრძანდებით ბატონის მოადგილე...

მფლ. კარგი? მერე?!

ილ. კეთილი, მოგახსენებთ და, აი, რასა: თუ ცხვარი არ იქმნა, მეცხვარე რა საჭი-როა?

მფლ. უმმმ!... კეთილი?! (წამოდგება და მივა ილიასთან) იცი? მე შენ მომწონხარ.. ამი-სათვის შენა გნიშნავ ჩემს მოურავად...

ილ. არა, დიდო ბატონო! კრუხი ქორო-ბას ვერ გასწევს. მე მოძღვარი ვარ და მოუ-რავად ვერ გამოვდგები.

მფლ. არ გაქვს შენ სამწყსო. სოფელს სხვა მოძღვარი ჰყავს.

ილ. მრგვალი, არა ყავარჯენის კვალს მიზდევს, არამედ მოძღვრის სულით და გულით მოფენილ გზასა. ბატკანი შარა გზად მიზდევს, ვინც მისებრ ბღავის.

პეტ. დიახ, დიდო ბატონო! ჩვენ იმისი არა გვესმის რა, ჩვენი მოძღვარი ისევ მამა ილია არის.

მფლ. გასწით, გამშორდით! (მიდის) კედე-ლი კედლად დარჩება, მაგრამ!.. მაგ ჯიუ-ტობისათვის-კი ჭკუას გასწავლით..

ილ. დიდო ბატონო, სოფლისავ! გვისმი-ნეთ (მფლობელაძე შესდგება) ნათქვამი არის: „ხმა ღვთისა — ხმა ერისაო". ხმა სოფლისა ძლიერია. მოგახსენებთ, თუ-კი მიიღებთ საყუ-რადღებოდ. ხშირად მწვრთნელ-მზრუნველს ლომი ემორჩილება; მას ასიამოვნებს, უსრუ-ლებს ყოველს ბრძანებას, სანამ მის ძალლო-ნეს არ შეეხება; ხოლო რა შეეხება, მაშინ იგი აღარ მოერიდება. შხამიან გველსაც ათამაშე-ბენ, ვითა მორჩილსა, ხოლო თუ გაამწარა, დაშხამავს თვით პატრონ მწრთვნელსაცა.

მფლ. (მოუბრუნდება) როგორ, მემუქრებით! მე თქვენ ძაღლივით დაგახრჩობთ...

ქეთ. (დავითი დელავს. მარიამი კანკალებს) არ გეკადრებათ...

მფლ. (შესდგება. უყურებს ქეთევანს) შენ მართალი ხარ.. წადით. გამშორდით. თვალით არ დამენახვოთ. მზეს-კი არა, ჰაერსაც დაგიხ-შობთ. გადაგასახლებთ...

ქეთ. (გავლენ: ილია, პეტრია და მაია), გადა-ასახლებთ?! დავით! ხომ გაიგონე მამა ილიასა-

გან? „გაწურთვნილი გველი თუ გამწარდა, მწვრთნელსაც არ დაინდობსო“...

დავ. დიახ, დიახ..

მფლ. აააა!.. (მიაკა, წაჰგლეჯავს გულიდან ნიშანს) აი, ამის ხსოვნამ გაგაჯიუტა. (მარიამს) შენ არ გიბრძანე? ან იქნება შენც...

დავ. (ნაბიჯის გადადგმით) გთხოვთ, ნუ შეურაცხყობთ. ეგ სურითია თვით მამაჩემისა..

მარ. მე ბრძანებელო..

მფლ. ქალაჩუნა!... (შეჰბღვერის დავითს) მაშ, აი, თქვენი ხსოვნა..

დავ. (რომ უნდა დაახეთქოს, გაშოსტატებს) თქვენ მაგისი ნება არა გაქვთ..

XI

იგინივე, **პეტრე, კატო**

მფლ. მე ნება არა მაქვს? შენს უფროსს ეწინააღმდეგები?! პეტრე! მე უფროსს და მამას ხელი შემახო. ამიტომ გიბრძანებ, როგორც უფროსს, აჰყარო იარაღი. ნიშანს კი მე თვითონ ავხსნი..

დავ. მაშინ..

ქეთ. (დავითს) ... გაწურთვნილი მორჩილი ლომი, თუ შეეხო მის სიამაყესა, არ დაინდობს თვით მწვრთნელსა ბატონსა.

მარ. (შუდ-მადრეკილი) დიდო ბატონო! გემუდარები, მოუტევე, ნუ შეურაცხყობ მაგის ყმაწვილკაცობას..

მფლ. შეასრულე ჩემი ბრძანება, სანამ მას სასამართლო დასჯიდეს.. (პეტრე მიკა მძიმედ და აჭერის იარაღსა. ამ დროს დავითი დადგებულია) მარიამ!! ახლა-კი მეზიზღები! (მიუბრუნდება დავითს და ახსნის ნიშნებს, ხადო რა შესხნის, დავითი იგრძნობს ტვირთის ასხნას) უფლებისამებრ ვხსნი ამ ნიშნებსა..

მარ. (ვით ბურანში) გეზიზღები?!..

დავ. ახლა-კი ვგრძნობ თავისუფლებას, თითქო ტვირთი მამსხნესო..

მფლ. მე თქვენ ჯოჯოხეთს გაგრძნობინებთ..

მარ. (წამოდგება, თითქო ახლა გაფოირკვაო) ჯოჯოხეთსა?! ამაზე მეტი ჯოჯოხეთი?! მაგრამ, კმარა! გეზიზღები? არა! შენ სხეული მოგწონდა ჩემი და იყავ ბატონი ჩემი ოცდა ათი წელიწადი, რაც მთლად საუკუნედ მე ჩამეთვალა. ეს არ იკმარე, სულის ბატონობაკი მოისურვე.. გეზიზღები?! ახლა, როცა გამომფიტე, სულიც-კი დამიჩლუნგე?.. ახლა, როდესაც ყოველი დაისაკუთრე, ხელში ჩაიგდე? ახლა, როდესაც წარსული ჩემი დამითრგუნე და მომავალიც დამიჩლუნგე?.. არა! შენ-კი არა, მე მძაგხარ... მეუღლე კი არა, ჩემი მტარვალი იყავი..

ქეთ. დამშვიდდი, დედაჩემო!

მარ. შენ გეზიზღები? მაშ, რაღა გინდა ჩემს სახლში! აქ შენი ხომ არა არის-რა? რა მოგიტანია?... მაგრამ, აი, სამაჯური, დღემდის მეყარა (მოიხსნის ხელიდან და მიუგდებს) ვით ბორკილი-შენგან გაყრილი..

კატო (აიღებს სამაჯურს) დედა! რა დაგემართა?

მფლ. (გამარჯვების მეტეველებით) შენ დაგავიწყდა, რომ აქ მე ვარ ბატონი...

მარ. (შეწუხდება) მაშ სოფელში..

მფლ. ან სოფელში ვიღა შეგიშვებს? ისიც ჩემია. იქაც მე ვარ მბრძანებელი. ამას თვით კედელი ღაღადებს და მის დამცველად ჩემი მორჩილნი არიან.

ქეთ. (შეშინებული) რა გემართებათ?!

დავ. (წუალს ასმეკს) დამშვ-დდი, დედა!...

სურათი: პეტრეს უნდა მისვლა; ხადო-მამა გაშმეტეველებით არ მისტემს ნებას. კატო მხრების აწევით მიუახლოვდება მამასა. მარიამი წამს მობრუნდება, შეხედავს სურათს და გადაესვენება ქეთევანის მკლავზე.

ფ ა რ დ ა

ს. გლახაშვილი

ვურული სცენა

ეველაფერი კაი, რომ მოგვერიენ, ქე ვხედავ, მაგრამ ერთი ეს მატოდინა, რა დარჩათ ოჯახ-ქორებს ამ დანგრეულ სოფელში, რომ ეოველ დღე გვარბეგენ და გვაწიოკებენ. გეიხედავ, ძმია, და ხან ერთი კოტრიალდობს ძირს და ხან მეორე, ხან მტერი და ხან მოყვარე. ზალეი ზალეზე, ზარა ზარაზე, შეიქნება ერთი ეეირიდ-კიეანა, ძმიდი: ბეტრიავ, ეკანიკავ, ზალიკავ და ეთი მინუთის განმავლობაში მთელი სოფელი ჩავჩინჩრიკდებით კანტელარიაზე. ხან ფეულს თხოულობენ, ხან სიმინდს და ხან გადავარდნილ კატებს. ძმია, ამხელა კატი კვი-

ზარდე, და ეს არ მომსწრობია ჯერ, რომ ეთქვას ვინმეს, უარადომ იარადანი დაიწირე და მომიყვანეო. დაუჩემებიათ მოგვეცი, მოგვეცი ფალარეთიო, და იმის კი არ ფიქრობენ რა გზითაო?! ნუ შეინახავთო. ეგ! კარგი დაგემართოს, მაგრამ გაწედილ ფალასეკს რომ დეინახამ, გული მუცელში მიყარდება შიშით, ის კი არ იცინ. არ შეინახამ და ერთი კეკალი ტევეა ხელად, და მერე მოუარე ჩემს ცოლშვილს შენ. არა, თუ ასთე გასტანა ჩვენმა დარბეკვა-აწიოკებამ. მაშინ მეც ფალარად უნდა გადავარდე. მე-კი არა, ექვსი, ათასი მანეთი თუ ეხლა გადაგახთევეს გლეხებს, მაშინ მთელი სოფელი გადავარდება და მერე უარე კეკალი. ის რაცხა კომეტაა თუ კუდიანი ვარსკვლავეთ, სწორეთ კას დროზე გამოჩენილა, მგონი ასთე ჩავიან, მაისში მოწედება კუდი და მთლად ამოგვხოცავსო. თქვენი რა მოგახსენოთ და ჩვენ-კი იმის კუდის მოწეგეტამდეც ამოვწედებით, ასთე თუ გასტანა ეთვედდე ზალეშა. ხუმრობა არ გეგონოთ?!

ასკანელი პროკოფია

სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების საერთო დაფასება

(გაგრძელება)

მხატვრული ნაწარმოების დაფასების დროს ჩვენ სასტიკ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ სწორედ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ხდება ჩვენს ათას-ნაირ იდუმალ გრძნობებზე და გონების ინსტიქტიურ, ანუ ლოღიკისაგან გაუნათებელ ნაწილზე, რადგან ნაწარმოების ავ-კარგიანობის შემტყობთ უმთავრესად ისინი არიან და იმავე დროს კი ისინი ისე ღრმად არიან ჩამარხულ-ჩამალული ადამიანის არსებაში, რომ ძალიან იშვიათად ეჩვენებიან არამც თუ მარტო გარეშე პირებს, არამედ თვით იმ ადამიანსაც, რომლის არსებაშიც იგინი მფლობელობენ.

ამ გრძნობებს, ამ ინსტიქტებს ბოლო არ უჩანთ; მათი თვალ-უწვდენელი სიღრმე ისეთივე უფსკრულს წარმოადგენს ადამიანისთვის, როგორც მთელი სამყარო რომელიმე დედამიწისთვის ან ვარსკვლავისთვის.

ადამიანი რამდენადაც ღრმად უყურებს ამ თავის მდიდარ სამფლობელოს, იმდენად უფრო თვალ-უწვდენელად ეჩვენება იგი. თავისი განსაზღვრულის მხედველობით ის ვერას დროს ვერ იხილავს ამ გაუსაზღვრელ სამფლობელოს თავით-ბოლომდის; ის თავისი ცნობის-მოყვარეობით ვერასდროს ვერ ამოსცლის მის დაუშრეტელ წყაროს; მან, ვიდრე ეყოფა თავისი ძალ-ღონე, რამდენიც უნდა პურადათა და დაუზოგავად ხარჯოს ამ სამფლობელოს სიმდიდრე, მაინც ვერასდროს ვერ მოესწრება ამის გაკოტრებას; პირიქით, რამდენიც უფრო მეტს დახარჯავს, იმდენი უფრო მეტად გაიზრდება ეს სიმდიდრე, როგორც ჰერაკლის წინ საშინელი ვეშაპი, რომელსაც ერთი მოკრილი თავის მაგიერ ორი ამოსდიოდა, ორის მაგიერ— ოთხი და სხვა.

მაშ თუ კი ადამიანი ვერასდროს ვერ იხილავს ამ სამფლობელოს ყორღნებს; თუ-კი ვერასდროს ვერ გადაჰშლის იმის გულს და ვერ ამოჰყაჭავს იქიდან ათასნაირ საიდუმლოებას, რაც შეადგენს მისი არსების წმიდათა-წმიდას, მის ძვირფას საუნჯეს, მაშინ უკეთესი არ იქნება მიანებოს თავი ამ უფსკრულში ჭვრეტას, აღარ აფათურეს ხელები იმის საიდუმლოებაში და არ იბნევდეს გზა-კვალს ამ ლაბირინტის გაუვალობასა და ათასფეროვანებაში?

მაგრამ აქ ძალა-უნებურად უნდა შევქმნათ დოგმა, დოგმა, რომელიც მოგვანიჭებს მხნეობას. უფრო მეტის მეცადინეობით განვაგრძოთ ეს დაუსრულებელი კვლევა-ძიება, ეს დაუსრულებელი მისწრაფება და აღვაგზნოთ ინტერესი ამ დაუსრულებელი საიდუმლოებისა და სიმდიდრისადმი, რომლის პატრონიც თითქმის ყველა ადამიანი არის. (რა ვუყოთ, თუ ყველა ვერ ხედავს ამ საუნჯეს, ამ სიმდიდრეს და მთელი სიცოცხლე კოტრად რჩება ცხოვრებაში!)

ამ დოგმას ჰქმნის მიზანი, ან იქნება უმიზნობაც, მთელი ქვეყნიერობის არსებობისა და განვითარებისა.

სად არსებობს ქვეყნიერობა? რად ტრიალებენ დედამიწები მზის გარშემო? სად მიჰქრის მთელი მზის სისტემა და რად? სად არის დასასრული ან აქვს თუ არა საერთოთ დასასრული მთელი მსოფლიოს არსებობასა და განვითარებას? ამ კითხვებზე მთელი სამყარო გულის შემზარავი სიჩუმით უპასუხებს. დ ა კაცის გონება ვერა პოულობს ხსნას.

ჩვენ დაგვრჩენია ერთად-ერთი გზა: ქვეყნი-

ერობის არსებობა და განვითარება ვაღიაროთ არსებულ ფაქტად. ამის მეტი სხვა გზა არ არის და ჩვენც ხომ მთელი მსოფლიოს ერთი უმნიშვნელო ატომთაგანი ვართ. მაშ ჩვენც გაჟღენთილი ვიქნებით ამ მსოფლიოს ბუნების არსებითი თვისებით.*)

და ეგრეც არის.

რისთვისა ვსცოცხლობთ? სად მივდივართ? რა არის ჩვენი მისწრაფების ბოლო? რა იქნება შემდეგ?—ეს დაუსრულებელი საიდუმლოებაა. ეს არა ჰგავს არც ელევზინის საიდუმლოებათ, არც იესო ნავინეველის წმიდათა-წმიდას, რადგან მათ თუ ყველა მომაკვდავი არა, ღირსეულები მაინც იხილავდენ ხოლმე დროგამოშვებით.

ის არა ჰგავს არც ფიველ სფინკსის ამოცანას ედიპისაგან ახსნილს. საერთოდ ასეთი ამოცანები სახსენებელიც-კი არ არიან მსოფლიოს ასეთ დიად ამოცანებთან ერთად, რადგან პირველი საიდუმლოებანი მაინც ხილულ იქმნენ ვისმესაგან, პირველი ამოცანა მაინც ახსნილ იქმნა; მსოფლიო საიდუმლოების, იმის ამოცანების პასუხს-კი დიდი ხანია ფხიზლად უგდებს კაცობრიობა ყურს, მაგრამ კრინტი, ჩამი-ჩუმიც-კი არსაიდან არ ისმის.

და ან გავიგებთ კი როდისმე? — იმედის ქონაც-კი საეჭვო არის აქ.

სხვა გზა არ დაგვრჩენია. მსოფლიოს არსებობითა და განვითარებით შექმნილი დოგმა ჩვენ, მისმა პატარა ატომებმაც, უნდა ვიწამოთ. ჩვენი არსებობა, ჩვენი აზროვნობა, ჩვენი გრძნობაც ამ დოგმით არის შებოჭილი და ეს შებოჭვა არის დაუსრულებლობა და სავსებით აუხსნელობა ყველა იმ საიდუმლოებათა, რომლისაკენაც ხან შეგნებულად და ხან ინსტიქტიურად ათასნაირი მიკლაკნილ-მოკლაკნილი გზით მიექანება, როგორც მთელი კაცობრიობა, ისე ცალკე ადამიანი.

რომ ნათლად დამენახვებინა ჩემი აზრი, აღნიშნულ თემას ცოტა გვერდი ავუხვიე. მე კაცის გრძნობებისა და ინსტიქტების უფსკრულიდან გადავფრინდი მთელი სამყაროს უფსკრულში. ახლა კი დავბრუნდეთ ისევ პირველ ადგილას. თუ დიდი უფსკრული ცოტაოდნად მაინც შევსძელი დამენახვებინა მკითხველისთვის, მაშ ახლა პატარაში უფრო ადვილად გავიკვლევთ გზას.

ლევ. მეტრეველი

---

*) მახლობელ დროში ამ საგანზე უფრო ფართედ გვექნება ლაპარაკი უკვე დამთავრებულ წერილებში „ქართველთა ბუნება". ავტ.

ნეკროლოგები

† მარიამ ივანეს ასული დემურია

21 ივნ. დილის 8 საათზე კიტა აბაშიძის ბინაზე გულის მანკით გარდაიცვალა კარგად ცნობილი, საზოგადო მოღვაწე, სახალხო სცენის დაუდგრომელი მუშაკი და ჟურნ. „ნაკადული"-ს რედაქტორი **მარიამ ივანეს ასულიდემურია**, დაბად. 48 წ-სა.

მ. ი. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო გორში, ხრუშჩოვის ოჯახში და შემდეგ თბილისის საბებიო ინსტიტუტში დაამთავრა სწავლა. მეუღლე იყო ვასილ დემურიასი, რომელიც სხვა და სხვა ქალაქში იყო გამომძიებლად. ადრე დაქვრივდა და თავისის შრომით გამოზარდა ორი ვაჟიშვილი—მიხეილი და ივანე.

საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა 90 წ. შემდეგ და მას უკან თითქმის არც ერთი საზოგადო საქმე არ ყოფილა, რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. დევნულთა თანამგრძნობელი, გულკეთილი, ხალხის უზომო მოტრფიალე 1896 წლ. სახალხო თეატრის საქმეთა წარმოებას მოექცა სათავეში, როგორც სცენის მოყვარე—მსახიობი, საქმის მომწყობი, მსახიობთა შემკრები, სარეპეტიციოთ ბინის მშოვნელი და სხ. ძნელია კალმა აღნიშნოს ყოველივე ის, რითაც ფასდაუდებელი იყო **მარია ივანოვნას** ღვაწლი... ერთსა და იმავე დროს რედაქტორობდა საბავშო ჟურნალს—სწერდა, თუ სთარგმნიდა საბავშო მოთხრობებს, პიესებს, წერილებს; თავმჯდომარე და გამგე იყო სახალხო წარმოდგენების წრისა, წევრი — სახალხო კითხვების მმართველი საზოგადოების გამგეობისა და მუდმივი დამსწრე თითქმის ყველა საზოგადო კრებისა... იგი იყო მეტეხის ციხეში წარმოდგენა-კონცერტების ერთი მთავარი მომწყობთაგანიც...

დღეს, როდესაც აღარა გვყავს **მ. ი.** უფრო მწვავედ ვგრძნობთ ჩვენს მარტოობასა. შეიძლება მას რამე ნაკლი ჰქონდა, შეცდომებიც, მაგრამ-რა: ის არა სცდება, ვინც არაფერს აკეთებს... ხოლო **მარი ივანოვნა**-კი ერთი საუკეთესო მუშაკთაგანი იყო ჩვენი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში... და ყველა, ვისთვისაც სანატრელია ჩვენი ხალხის კულტურული წინმსვლელობა, მადლობით მოიხსენიებს მ. ი. დემურიას ხსოვნას.

დაუვიწყარი იყოს ხსენება შენი, დაუცხრომელო, სახალხო მუშაკო!

ი—ი

† **დემონი** (დიმიტრი—ქოჩო— ქავთარაძე) იყო შვილი დეკანოზის სვიმონ ქავთარაძისა, დაბადებიდან 20 წ. პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო ახალსენაკის სასულიერო, ოთხკლასიანს სასწავლებელში. კურსის დამთავრების შემდეგ თბილ. სასულ. სემინარიაში შევიდა, მესამე კლასამდე მიახწია და 1910 წ- 18 იანვ თავი მოიწამლა. სამწეალო ასპარეზზე გამოვიდა (**დემონის** ფსევდ.) 1908 წ. და მეტად ნიჭიერ დეკლამატორ სწერდა.

თითქმის ყოველს მის დეკლამაციას ჩაქსოვილი აქვს „მწარ კაუშნი და ვაუბანი“, რომელიც გალუფურჩქნელს მგოსანს „დაბადებიდან წილად შეუნია“. მისი ბოეზია, ნარნარ რითმოვანი, კაუშნოვანი დიდინია, რომელსაც ჩაგრეს-ჩაწუნული აქვს სეგდა-ნაღველში ამოვლებული ძოვები, ამონაქსოვი დუხჭირის ცხოვრების წაღდიდან. იგი ხან ნელია, გულის მომსალბუნებელი, უსასოო: „შავი დრუბლები... შექა არ-სად სჩანს... ისევ სიბუმე... მეფობის წუვდადიო“, ხან კი მდუღარეა — სულის ადამიანოებელი: „ნუ! ნუ მიმღერით მე ტკბილსა ჭანგებს. ჩემს გულს ვერ ალხენს ჭანგი ტიური; ვერ გამოფენტავს კაუშნ-დარდებს ეს მაწუენილი სხვ დეთიურიო„. „ვეღარ ვიხილავ ადგენილს მხარეს და ისე ჩავალ ტიე-ბნელს სამარესო? „თავგანწირულად დაეკითხა ის თავის თავსა და თითქმის სამარის კარებიდან ამოიკვნესა: „მეგობარს ველი თავგანწირული, უკანასკნელად ვიშვერ მისკენ ხელსო“ და სიმუდამად მიეძინა ადამიანისა და სოფლის უმადურმა.

მშვიდობით, კადეფურჩქნელო, ძვირფასო ნიჭო, უდროოდ დაზრგუნვიდო. შენი თანამოკალმენი არასდროს არ დაგიეწყებენ!.. **კ. ფშაველა**

ჩვენი მსახიობნი

ნინო პლატონის ასული ჩხეიძე, დამსახურებული ნიჭიერი და ერთი ინტელიგენტი მსახიობთაგანი ქართულ სცენისა, თითქმის 15 წელიწადია, რაც სცენაზე მოღვაწეობს. პირველად პატარა როლებით დაიწყო მუშაობა ქუთაისში კ. მესხის ხელმძღვანელობით, შემდეგ თბილისში მონაწილეობდა ქართ. დრამ. დასში ვლ. ალ.-მესხიშვილის რეჟისორობით, ბოლო ხანებში ქუთაისის სცენაზე სთამაშობს. თავისი ბუნებითი ნიჭითა და მეცადინეობით ისე დაწინაურდა, რომ საპატიო ადგილი დაიჭირა ჩვენს მსახიობთა შორის. მისი ამპლუა დრამატიულია. დიდის ხელოვნებით თამაშობს **ზეინაბს** (ლალატი), **ქეთევანს** (კონსტანტინე ბატონიშვილი), **ირინეს** (ბრეკალ.), **მარგარიტა გოტიეს**, **მაგდა** (მამულ-დედულ.) და სხვ.

დღეიდან იწყება **ნ. ჩ**—ს გასტროლები თბილისის სცენაზე და, იმედია, საზოგადოება სიამოვნებით შეეგებება მისი მონაწილეობით გამართულ წარმოდგენებს.—ამ ჟამად იგი მონაწილეობას მიიღებს „**მარგარიტა გოტიე**“-ში, „**სამეგრელოს მთავარ ლევან**“-ში და სხ.

რუსთა დრამატურგნი

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი წელს შესრულდა 50 წ., რაც დაიბადა რუსეთის ეს ნიჭიერი მწერალი და დრამატურგი. ჩვენი საზოგადოება საკმაოდ იცნობს მისს მოთხრობებსა და პიესებს, რომლებიც ქართულადაც არის ნათარგმნი. თავისის შესანიშნავის ნიჭისა და დაკვირვების მოწყალეობით ა. ჩ-მა რუსეთის დრამატიულ ლიტერატურაში ახალი სხივი შეაშუქა, ანუ, როგორც ერთი მწერალთაგანი ამბობს, რეფლიუცია მოახდინა. ა. ჩ-ს მოთხრობებსა და პიესებს სარჩულად უდევს დღევანდელი ცხოვრება რუსეთისა თავისის წვრილმანის და ქვინა მისწრაფებებით; მას ჰსურდა ენახა ადამიანი თავისუფალი, კეთილშობილი, მაგრამ ამ ოთხი წლის წინად სიკვდილმა უდროოდ გამოსტაცა კალამი ხელიდან და რუსეთს, მასთან კაცობრიობასაც, დაეკარგა ერთი საუკეთესო პირისუფალი.

სომეხთა მსახიობნი

სევუმიანი, სომხური სცენის ახალგაზდა მსახიობი და ერთი საუკეთესო ძალათაგანი, ხუთიოდე წელიწადია სასცენო მოღვაწეობა დაიწყო და თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა მსახიობთა შორის. ამას გარდა სწერავს ხელოვნების შესახებ წერილებს სომხურსა და რუსულ გაზეთებში, სხვათა შორის დაწერილი აქვს „Идея обще-кавказскаго коллективнаго театра“. შარშან დასით იმოგზაურა რუსეთისა და საზღვარგარეთის ზოგიერთ ქალაქებში. აგრეთვე მონაწილეობდა რუსეთის რეჟისორთა პირველ კრებაზე, სადაც დიდი ყურადღება დაიმსახურა. მისი რეპერტუარი მრავალ-ფეროვანია. საუკეთესოთ თამაშობს **პეტრონიუსს, ფრანც მოორს, ოთარბეგს, სატინს, თაშჩიანს, ფერდინანდს, მიხეილ კრამერს** და სხ.

ამ ჟამად **ს**-ი 30 წ. თუ იქნება და დიდის ხალისითა და საყვარულით მუშაობს სახალხო თეატრის სცენაზე, როგორც მცოდნე და ინტელიგენტი რეჟისორი.

შეცდომის გასწორება: „**თ. და ც.**“ 2 №-ში 5 გვერ. დეკლში, „მსახიობს“, ქვეიდან 11 სტრიქონში დაბეჭდილია „სუმბულოვანი“, უნდა იყოს: **სურნელოვანი**. იმავე გვერდ. ზეიდან 14 სტრიქ. დაბეჭდილია: „მისწვდება“, უნდა იყოს: **მოსწყდება**.

რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

Отдѣленіе коеропечат. „Прогрессъ“ Дворцовая ул., домъ груз. Дворянства.